



ქვეყნის

1991
სუთხაბათი
25
აკრილი
№ 49 110442
შპსი 5 კაპ.

ფუნქციონირებს სსრკ-ს საგარეო დიპლომატიის-პოლიტიკური განყოფილება

გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 ნაბრტყელად

საგარეო დიპლომატიის პოლიტიკის უზენაესი საბაზისი უნდა იყოს

28 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

სესიის დღის წესრიგის განხილვისას გამოვიდნენ დეკლარაციები დავით ბერძენიშვილი და ნოდარ ნათაძე, რომლებმაც წინადადება წამოაყენეს დღის წესრიგში შეეტანათ საკითხები ამ ბოლო ხანს აპარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და შიდა ქართლში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შეხსნაზე, მაგრამ შემდეგ სიტყვა აიღო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც უზენაესი საბჭოს წევრებს გააცნო ამ რეგიონების საერთო მდგომარეობა, ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება იქ სიტუაციის ნორმალიზაციისათვის, თქვა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია სესიის ახლანდელ სხდომაზე ამ საკითხების განხილვა, რასაც დეკლარაციებიც დაეთანხმნენ.

დღის წესრიგის პირველ სამ საკითხზე—საქართველოს რესპუბლიკის კანონებზე: პრეფექტურის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, გარდაამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანი გიორგი გულბანი.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი გურამ აბსაძე, დეპუტატები ბიმურჯა აფრასიძე, რომან გოცირიძე, ბეჟან გონაშვილი, ზურაბ წიქარიძე, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ პოპიაშვილი, პაატა კოლუაშვილი, რუსლან ღონღაძე, აკაკი ბობოხიძე, ზაქარ გულუა, გურამ პეტრიაშვილი და სხვები. გაიმართა

საფუძვლიანი აზრთა გაზიარება, რის შემდეგ უზენაესი საბჭომ მიიღო სამივე კანონი.

შემდეგ დეპუტატებმა განიხილეს „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ კანონში ცვლილებათა შეტანის საკითხი. რომელიც წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ნუგზარ მოლოდინაშვილმა. მიიღეს შესაბამისი კანონი, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონის მეორე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ არჩევნებში არ მონაწილეობენ ფიქტიურად ავადმყოფი მოქალაქენი, რომლებიც სასამართლოს მიერ ცნობილი არიან არაქმედუნარიანად, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არიან, ან რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეულია პატიმრობა.

დღის წესრიგის მომდევნო სამ საკითხზე—საქართველოს რესპუბლიკაში ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ კანონის, ამ სამსახურის გავლის წესის დებულების დამტკიცების შესახებ, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი წარმოების ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარე ალექს ვარძელაშვილი. ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები თენგიზ კიტოვანი, ნოდარ ნათაძე, გურამ მაქაცარია, დავით არევაძე, ზვიად ბოკუჩავა, ზურაბ წიქარიძე, ვაჟა გურგენიძე, აპოლონ სილაგაძე, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და ღემოგრაფიის მინისტრი თამაზ გუგუშვილი, დეპუტატები ვაჟა აღაბია, შიდა ნათაძე, დავით ბერძენიშვილი, თედო ნინიძე, რამაზ სურმაძიძე და სხვები. დეპუტატებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები და გადაწყვიტეს გადაეღოთ პირველი ორი საკითხის განხილვა. მესამე საკითხზე კი—საქართველოს

რესპუბლიკის შინაგანი წარმოების ეროვნულ გვარდიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ უზენაესი საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დავით კუპრეიშვილის წარდგინებით დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ და ამასთან დაკავშირებით კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, აგრეთვე დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ სესიამ აირჩია ევტახი ბენდელიანი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წარდგინებით უზენაესი საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დამტკიცა ზურაბ მინდელი. მიღებულია დადგენილება, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ კანონის მეხუთე მუხლის შესაბამისად ვადაძე შეწყდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გივი გუმბარაძის უფლებამოსილება.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა აქტუალური საკითხის გამო განცხადებებითა და წინადადებებით გამოვიდნენ სასოფლო და სატყეო მეურნეობის მინისტრი ნიკოლოზ იაშვილი, დეპუტატები ნოდარ ნათაძე, აპოლონ სილაგაძე, ლევან ტუხაშვილი, მინდია ხალუჭავაძე, ვლადიმერ მირცხულავა, დიმიტრი ქეზურია, გიორგი ქავთარაძე, ბიმურჯა ფრასიძე და რომან გოცირიძე.

ამით სესიის მორიგმა სხდომამ მშუშობა დაამთავრა. საპინფორმაციო საბარლამენტო კორესპონდენტები.

წინასაარჩევნო დღეები უჩვეულოდ, ამაღლებული ემოციების შემომტანია ყოველი ჩვენგანის გულში. მართალია, იგი მიმდინარეობს განსაკუთრებულ ვითარებაში, იმედიანად და სიმამროვნად, მაგრამ თავისუფლებისათვის საბრძოლველად შემართულ ქართველობას ვერანაირი ძალა ვეღარ შეაშინებს.

ჩვენნი გზა სამართლიანია

რებაში, იმპერიის რეაქციული ალბის გააფრთხილებული შემოტყვის ბირობებში, მაგრამ თავისუფლებისათვის საბრძოლველად შემართულ ქართველობას ვერანაირი ძალა ვეღარ შეაშინებს.

მტერი ცოფს ყრის, კანში აღარ მტყვია. და რაოდენ სამწუხაროა, რომ ცენტრის პარტოკრატის ისტორიის მწარე გაკვეთილებიდან დასკვნები არ გამოაქვს. კრემლ-

ის მესვეურნი ისევ და ისევ იმპერიული ამბიციების ტყვეობაში არიან.

ამაღ ცდილობს ბატონი გორბაჩოვი და მისი ამფსონები

ქაში. ეს სულის მოსახსენებელი, ხსოვნის თვეც გახლავთ. მრავლისმთქმელი სიმბოლოა იმ ფაქტშიც, რომ ამ თვეში, კერძოდ, 9 აპრილს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ეს არის ცრემლნარევი სიხარულის დღე. და ასეთ დროს, ფიქრობ რა გამოვლილ ტყვილიან გზებზე, თუ სამომავლოდ დასაყრდენ უძნელეს მაღლობებზე, სულში ინასკვება ლოცვასავით წრფელი სიტყვები: მარადიული ხსოვნა იმ ადამიანებისა, რომლებმაც ამ დღის მოახლოებისათვის თავისი წილი სისხლი გაიდეს. დღეს ისინი, ზეციან უკვდავი შინადაპირი, ზემოდან დაგვიტყვიან და აუფრთხილებენ იმ გზას, რომელმაც საქართველოს სრულ განთავისუფლებამდე უნდა მიგვიყვანოს.

პ. ალაწია

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი

ოკრობოკრო ეკლიან გზებზე ტანჯვით სიარულმა სულიერად და ფიზიკურად დაგვაშინა, თითქმის დაგვეპარგა მომავლის იმედი, მაგრამ მაღლობა ღმერთის ჩვენი მზიური საქართველო დღითიდღე უახლოვდებოდა ქართველი ხალხის საუკუნეობით ნანატრ ოცნებას—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და აღსრულდა კიდევ.

1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი დღეები—კაცობრიობის ისტორიაში ავად მოსაგონარია, სიმბოლოურია, რომ ქართველი ხალხისთვის სრულიად მოულოდნელად ერის გლოვა სიხარულმა შეცვალა და 1991 წლის 9 აპრილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოცხადდა. 14 აპრილი საუკუნეების მატინეში არასდროს არ წაიშლება აღნიშნულ დღეს საქართველოს რესპუბლიკის სავანგებო სესიამ ბატონი ზვიად გამსახურდიას ერის წინამძღვრად აირჩია—საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

მთავრობის მხარეზე არჩევნებში ქართული ხალხი, კვლავინდებურად გამოიჩინეს ერთსულოვნებას, და ხმას მისცემს ერის საშაუო შვილს.

1991 წლის 28 მაისი ყოფილიყო სიცოცხლის, სიკეთის, რწმენის აღდგენის, საქართველოს დადი მომავლის მყარი საძირკველი.

ღმერთი იყოს ქართველი ერის მფარველი. შედიკო გუცხრიკიძე. პედაგოგი.

კავშირი გულთა შორის

სტუმრად ინგლისელები

მარტის თვეში ზუგდიდში ოფიციალური მისიით მხოლოდოდნენ ინგლისელი სტუმრები ქალაქ ჟორინტონიდან. განათლების დარგის კურატორი, ექიმი, ჟალბატონი ბარბარა მეერი, ბატონები— ალექსანდრ ლოვსონი, ჯონ კალსაიდი, ჯონ სტუარტი, ურნალიტი გარეი ნიქსონი, ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ ევრო-საქართველოს ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის ხელშეწყობა ფორმა „მედას“ დირექტორის, მერლისა და ურნალიტის როლანდ ჯალბატონისა და ჩვენი ქალაქის მესვეურთა მოწვევით. თარჯიმანად ახლდათ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ბიძინა კვაკელია.

ინგლისელები ქალაქის პირველ საშუალო სკოლას ეწვივნენ. ამ სკოლაში 1982 წლიდან გაღმავებული პროგრამით ისწავლება ინგლისური ენა. ენას ასწავლიან

ნიქიერი, პედაგოგურ ხელოვნებაში დაოსტატებული მასწავლებლები.

ინგლისელ სტუმრებს მოეწონათ მოსწავლეთა მეტყველება. გრეინიქსონმა ერთ პატარა ბიჭუნას სახესთან ახლოს მიუტანა ყური გაკვირვებით, მერე კი თქვა: რა სასიამოვნოა, რომ ბრიტანულ კოლოზე მეტყველებსო.

ნორჩებმა სტუმართა პატრისაცემად გამოათეს კონცერტი. როცა ძმებმა ხუბულავემა და შენგელიებმა ქართული სიმღერები შემოსძახეს, ინგლისელ სტუმრებს თვალები გაუბრწყინდათ, სულგანაბლული უსმენდნენ ტკბილქართულ მელოდებს. ისინი აღაფრთოვანა შერეულმა ხალხურმა სიმღერებმა.

საპატიო სტუმრებმა დაათვალიერეს სასკოლო მუზეუმი, სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ბავშვებს. გამოთხოვებისას ალბომი დატოვეს მისამართებით და

ინგლისში მიპატიებთა აღვიოქვებს.

როგორ გავიოცეთ, როცა სტუმრების წასვლის რამდენიმე დღის შემდეგ უორინტონიდან იქაური კოლეჯის მოსწავლეთა უამრავი წერილი მივიღეთ. „მე ძალიან მაინტერესებს ყველაფერი თქვენზე. მალე ჩამოვალ რუსეთში“— წერს ერთი ინგლისელი ბიჭუნა.

ამ დღეებში მოსწავლეებმა საპასუხო წერილები გაგზავნიეს ინგლისელ თანატოლებთან. „ამ არჯობა, მიშელ,— ეს ქართული ბიჭუნაა, მომწერე ყველაფერი შენს ქვეყანაზე. ჩემი სამშობლო რუსეთი კი არაა, საქართველოა, დიდი წარსულის მქონე, დამოუკიდებელი ქვეყანაა. მე ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო. ალბათ შენც ძალიან გიყვარს არა, მიშელ, შენი სამშობლო?“. გაიზრდებიან ქართველი გოგონები და უფრო თავმდად იტყვიან ქართულად და ინგლისურადაც თავიანთ სოქმელს უცხოელ მეგობრებს.

დ. გიტია, პედაგოგი.

ფაიფურის ქარხნის მშრომელთა ინიციატივით მოეწყო საგაფიცო მსვლელობა საწარმოდან ქალაქის მოედანამდე, შემდეგ გაიმართა მიტინგი.

მშრომლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ცენტრის ვერაგული პოლიტიკის მიმართ. ჩვენი გადაწყვეტილება— აღნიშნავდნენ ისლამი— მივიღეთ სუვერენიტეტს, მტკიცე და ურყევია, სანამ ცოცხლები ვართ, უკან არ დაიხეეთ. მიტინგზე ძირითად მოთხოვნად ისმოდა რესპუბლიკიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა.

სიტყვებით გამოვიდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრები: თორნიკე ბერაძე, ულან შელია, რომ თირქია და სხვები.

მიტინგის მონაწილეებმა დიშმაშა გაგზავნეს სსკპ პრეზიდენტის მ. გორბაჩოვისადმი, სადაც ასე მიმართავენ მას: „როგორც პოლიტიკოსისათვის, თქვენთვის არ

უნდა იყოს წყვეტილი, სახლია შეხვალთ ისტორიაში: ხალხია მეგობრად თუ თავისუფლების ჩამსობად. მოგიწოდებთ, მიიღო ყველა ზომა, რათა თავიდან ავიცილოთ სისხლისღვრა და მოგვეცეს იმის საშუალება და უფლება, თვითონ გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი.

დაბეჭდებით მოვიტხოვთ: დაუყოვნებლივ გაიყვანოთ ქარხნის ნაწილები შიდა ქართლდან (ყოფილი სამხრეთ ოსეთი). დაიწყოთ მოლაპარაკება დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერ მთავრობასთან.

ჩვენი სამართლიანი მოთხოვნების უზუღებელყოფის შემთხვევაში მზად ვართ ვიბრძოლოთ თავგანწირულად ჩვენი მიწა-წყლის დასაცავად.

მტკიცედ გვწამს, რომ მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოება მხარს დაუჭირს ჩვენს სპირატილან ბრძოლას“.

მოვითხოვთ ჯარების გაყვანას

გამოთქვამენ ცენტრის ვერაგული პოლიტიკის მიმართ. ჩვენი გადაწყვეტილება— აღნიშნავდნენ ისლამი— მივიღეთ სუვერენიტეტს, მტკიცე და ურყევია, სანამ ცოცხლები ვართ, უკან არ დაიხეეთ. მიტინგზე ძირითად მოთხოვნად ისმოდა რესპუბლიკიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა.

სიტყვებით გამოვიდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის წევრები: თორნიკე ბერაძე, ულან შელია, რომ თირქია და სხვები.

მიტინგის მონაწილეებმა დიშმაშა გაგზავნეს სსკპ პრეზიდენტის მ. გორბაჩოვისადმი, სადაც ასე მიმართავენ მას: „როგორც პოლიტიკოსისათვის, თქვენთვის არ

უნდა იყოს წყვეტილი, სახლია შეხვალთ ისტორიაში: ხალხია მეგობრად თუ თავისუფლების ჩამსობად. მოგიწოდებთ, მიიღო ყველა ზომა, რათა თავიდან ავიცილოთ სისხლისღვრა და მოგვეცეს იმის საშუალება და უფლება, თვითონ გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი.

დაბეჭდებით მოვიტხოვთ: დაუყოვნებლივ გაიყვანოთ ქარხნის ნაწილები შიდა ქართლდან (ყოფილი სამხრეთ ოსეთი). დაიწყოთ მოლაპარაკება დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერ მთავრობასთან.

ჩვენი სამართლიანი მოთხოვნების უზუღებელყოფის შემთხვევაში მზად ვართ ვიბრძოლოთ თავგანწირულად ჩვენი მიწა-წყლის დასაცავად.

მტკიცედ გვწამს, რომ მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოება მხარს დაუჭირს ჩვენს სპირატილან ბრძოლას“.

პ. სამუშაის მესამე წიგნი

მოთხველმა კარგად იცის, რომ მკვლევარა კალისტრატე სამუშია რამდენიმე წელიწადია ნაყოფიარად მუშაობს ქართული ზეპირსიტყვიერების მეგრული ნიმუშების შეკრებისა და გამოცემის საქმეებზე.

მისი პირველი წიგნი „ქართული (მეგრული) ხალხური პოეზიის მასალები“ გამოიცა 1971 წელს, მეორე— „ქართული ხალხური პოეზიის საკითხები. მეგრული ნიმუშები“ 1979 წელს. ამ ორ წიგნს აგრძელებს მესამე, ახლანდელი გამოცემა „ქართული ზეპირსიტყვიერება. მეგრული ნიმუშები“ (1990 წ.). წიგნის რედაქტორია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იოსებ მეგრელიძე.

წიგნში წარმოდგენილია კ. სამუშაის მიერ ზუგდიდსა და მის მიმდებარე რაიონებში შეკრებილი ქართული (მეგრული) პოეტური და მუსიკალური ზეპირსიტყვიერების საწესჩვეულებო, საბრფილო და ფილოსოფიური ზანათის ლექსები, სენტენციები და გამოცანები.

სამეგრელოს რეგიონში მეგრულ ენაზე შექმნილი ეს უმდიდრესი მასალა კ. სამუშაის მიერ მკითხველს ეძლევა ქართული ბჭყარედული თარგმანებით და მისივე შენიშვნებით, ზოგჯერ ზანათიული ფორმითაც.

დიდი და შრომატევადი ნაშუქლო შეკრებილი მუშაობის შედეგად წყნარ-თანამშრომელს ბატონ ინგლისტრატეზს მთავარი იმ არის, რომ ხალხური ხიბრანე მან თაონებმა შეიმუშაა. მკითხველი ინტერესით გაეცნობა ისტორიულ-ფოლკლორული განმარტებით ამ კრებულს. ამიტომ საგაზეთო სტატიებში მასზე დაწვრილობით საუბარი არცაა ბავიროსა.

მესამე წიგნი

წიგნის 124-144 გვერდებზე წარმოდგენილია „კოლხეთის ზოგერთი გეოგრაფიული სახელი ზეპირსიტყვიერებაში“. ამ თემაზე კ. სამუშაის წინათაც უწერია. ავტორი გვიზიარებს თავის აზრებს ეგრისის შთელ რიგ ტოპონიმებზე სახელწოდებათა ეტიმოლოგიაზე, ამ სახელწოდებათა ნაწილის გადმერთებულ ციურ მნათობებთან კავშირზე, წარმართობის დროის კულტებიდან გამომდინარეობაზე და სხვა.

განსაკუთრებულ ადვილს თავის ნაშრომში კ. სამუშაია უთმობს წყალ-ღვთაების („ერგას“) და ხე-ღვთაების („ცო“) კულტთან დაკავშირებულ სახელწოდებებს. რა თქმა უნდა, ტოპონომიკურ სახელწოდებათა ახსნა რთულია; ბევრი რამ საკამათოა და სხვადასხვა აზრები მრავალია, მაგრამ კ. სამუშაის მავილგონიერი დაკვირვებანი უთუოდ. გასათვალისწინებელია.

ჩვენ, მავალითად ვიზიარებთ მის დასკვნას დადისწყლისა და ერისწყლის იგივეობის შესახებ, იკრეთვე სათნაქოს სახელწოდების ახსნას მისი გამოყენებიდან აღვალმდებარეობის ორიენტაციისა და უფრო ამინდის მინიშნებასათვის ასევე შესაწყნარებელია მდინარეების ენგურის, ხობის, სოფლები ანაკლის, ჭაქვიჯის და ზოგიერთი სხვა ტოპონომიკურ სახელთა მისებური ახსნა.

ერთი სიტყვით, ბატონი კალისტრატე უაღრესად სასარგებლო, საშეილოშვილო და კეთილშობილურ საქმეს აკეთებს და ეუსუროვით ამ საქმეში მას შემდგომი წარმატებები.

მამანდი ბავკორია, ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

ს უ ლ ი ს ს ი ზ ა ნ ტ ე, თ უ გა ლ ა ლ რ ე ბ ი ს ტ რ უ ბ ი გა ლ ა ზ რ დ ი ლ ი უ კ უ ლ ტ უ რ ო ბ ა ?

ხშირად ვფიქრობ: რამდენი წვრილმანისაგან იქსოვება ჩვენი ყოველდღიური ყოფა. ზოგი მათგანი კარგ ხასიათზე გვაყენებს, ზოგიც კიდევ გუნებას გვიშამავს, აი, მავალითად, დილადრიან ონკანს რომ მოუშვებ და წყალი ჩხრიალით წამოვა, გესიამოვნება კაცს. წყლის ჰველით ამღვრებული ონკანი ხომ სამზარეულოში მოფუსფუსე დისახლისისათვის ყველაზე ტკბილი მელოდიაა. მაგრამ საქმარსისა დილის ეს ცინცხალი შთაბეჭდილება ოდნავ განეღვრეს რომ გონებას უამური ფიქრი მოეძაღება: აბა, რომელ ჩვენგანს არ მოუტრავს თვალი დიად დარჩენილი ონკანისთვის. გვიანავს ქარხნის ეზოში, ქუჩაში, შინ, ბინაზე, თუ საზოგადოებრივი თავგურის ადგილას. მოთქრიალებს წყალი, ეს აუწონავი ბუნებრივი განძი და ირგვლივ კაციშვილი არ აღმოჩნდება ისეთი, რომ ამ უმსგავსოებას წინ გადაეღობოს. გვაპატიოს მკითხველმა, რომ ამქერად კონკრეტულ ფაქტებს არ ვასახებლებთ. მაგრამ ჩვენს საერთო ნაყულზე ზოგადმა მინიშნებამაც არა გვაგონია ვინმეს აწყინოს. კეთილი უური გეუფლება კაცს, როცა გაზეთებში ევროპის ცივილიზებული ქვეყნების მოქალაქეთა ყარათიანობის ამსახველ ინფორმაციებს ეცნობი. იქ თურმე ლითონს თვალის ჩინივით უფროხილდება. იქაური საწარმოების პოტენციალში ხომ მნიშვნელოვანი წილი მეორეულ წელდელზე და ნარჩენების ტექნოლოგიაზე მოდის. შევადგროთ ახლა ყოველივე ამას ჩვენი დანაშაულებრივი ხელგაშლილობა. განა მრავალქირანავს საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებას მოვეწყობით, თუ ამ თვისებას, ავირი არ ამოვდეთ? ალბათ ფუძე ოცნებად დარჩება ყოველივე, თუ არ ვისწავლეთ რესურსების მომჭირნედ ხარჯვა, თუ არ შევიმუშავებთ ქმედითი მექანიზმები, რომლებიც შევკვდილებინებს სხვადასხვა სახის

ყოველდღიური ნარჩენების სამეურნეო ბრუნვაში მოქცევას.

სავანგებო უურადღებებს ითხოვს კომუნალური მეურნეობის სამსახური. ეს მრავალგანმტობიანი ქსელი ფაქტურად კრკს და ასულდგმულებს ქალაქის რთულ ორგანიზმს. წარმოსახვა აფიქსირებს ასეთ ხურათს: ათეულლობით მუშაობი დილაკიან სამართავ-ბულტთან დაშდგარა და არეგულირებს მოსახლეობის გუნება-განწყობილებას. შეუძლებელია გულის სიდრმეში არ შეგშურდეს იმ აღმანებლისა, ვისაც დრომ და ცხოვრებამ ასეთი მნიშვნელოვანი, საპასუხისმგებლო საქმე ანდო. ერთი შეხედვით თვალს მიფარებულა, უხილავი ფრონტია. შრომაში გამოქცილი ადამიანები ებრძვიან აუტანელ ხვატს, თოვლსა და წვიმას, ქარშიშხატს, ათასნაირ დეფიციტს. უწევთ უთვალავი წინადაობის გადალახვა, რათა თანამემულებთან მიიტანონ სინათლე, წყაღლ, სითბო და ა. შ. ეს ის სარბიელია, სადაც კეთილსინდისიერი გარჯა-ღვწით შეგიძლია ავტორიტატი და სიყვარული მოიხვეტო. მაგრამ ერთდროულად ეს სამსახური უშეღავთო, უღმობელიც განლავთ. ამ შეიძლება ყურადღება— დაფანტული, ბედოლავითი მესაღვრესავით ერთმა პატარა, დაუფიქრებელმა ნაბიჯმა, სიუხისილის მოღუნებამ მომხმარებელთა გულისწყრომა ზგავივით წამოშალოს.

როცა კომუნალურ მომსახურებაზე საუბარი, ძალაუნებურად ჩნდება შემდეგი კითხვები: ვინ ემსახურება? როგორ ემსახურება? ვის ემსახურებინა? ავიღოთ გამწვანების საკითხი. ამ ბოლო ხანებში აღნიშნულ სფეროს ნამდვილი ჰირისუფლის ხელი დაეტყო. ქალაქში თანდათან მატულობს მწვანე საფარი. მაგრამ ბოლო არ ეღება მავანთა ცინიზმსა და გულგრილობას. ზოგიერთი ვაიზუგადიდელის მიერ „ვიზ-

ირებული პირტუტვის ვოიუიქ კვლავაც უსიამო ლაქებით ამახინებს ქალაქის საერთო პანორამას.

აბ.

ვერა და ვერ ვისწავლეთ ეზოს, ქუჩის მოვლა. თითქმის იშვიათია უბანი, სადაც გარეთ დაყრილი ნაგავისა და ნარჩენების ზვინება თვალში არ შეგეჩნისო. ვერ ავითვისეთ ნაგვის შეგროვების, გატანის ელემენტარული კულტურა. სახლმმართველობამ თავის დროზე კომუნალურ სახლში საცივალური ყუთები დადგა სხვადასხვა კვებითი პროდუქტების ნარჩენების შეგროვების მიწინა, მაგრამ მომინადრეთა დიდი ნაწილი ამ სიანხეს გულგრილად მოეცია. ამ და მსგავს „წერტილ-მანებს“ ჩვენ, ზუგდიდელთა ზურგი თუ შევაქციეთ, ყოფილი კულტურის აღმართზე ბიჭ ვერ წავლავთ წინ. ნიქიერი, სტუმარ მოყვარე, და საინტერესო ხალხი ყოფილხართო, სუფრასთან კი ვეზტვიან სტუმრები. მაგრამ როგორც კი თვალს მიეფარებინა, გუნებაში გაგვაქილიკებენ: ებ თქვენი ოქროპირობა და პერმხოლოდ ენის წვრტზე დაკიდებული ზანადაკი ყოფილაო.

ისევ კომუნალურ სამსახურზე ფიქრით დავასრულებდით ამ წერილს, საშწუნხაროდ, ბევრი ახალგაზრდა გაურბის ოსრილში საათობით დაგომას, ელექტრობოძებზე კონფიანს, ყინვით გათოშილ მიღებთან ჯაჯვტის უფრო იოლ საქმეს ეძებენ. ისეთს, რომელიც ხოთის აოლბში ნაკლებად აშოუყვანს კოფრებს. ამიტომ ყველან გვევადება უფრო მეტი პატრეცვით, კუთვნილი ფასი დაავდოთ ამ უბანზე მომუშავე სპეციალისტების შრომას.

ღმერთმა ის დრო მოგვასწროს, როცა აღნიშნულ სფეროში წქქქიანობა, ცივილიზებული ქვეყნების დარად, პრესტიჟულ ხელობად ითვლებოთ.

ზ. ცხრენია.

კომუნისტური მკითხველს მივანდობთ

პრივატიზაციის ლიტვური პარიანტი

ლიტვაში მიიღეს კიდევ ერთი კანონი — სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ. ეს დოკუმენტი, მისი შემდგენლობის აზრით, მოწოდებულია დააჩქაროს საბაზრო ეკონომიკის განვითარება.

ახალი კანონი განსაზღვრავს ამ წესრიგსა და პირობებს, რომლის ფარგლებში უნდა განხორციელდეს სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო, ენერჯეტიკული, სავაჭრო საქარმოების პრივატიზაცია საქართველოში ფორმების შეცვლის პირველ საწყის ეტაპზე.

კანონი მიანიშნებს, რომ პრივატიზაცია რესპუბლიკაში განხორციელდება სახელმწიფო ქონების აუქციონზე გაყიდვის, ან აქციებზე ღია ხელმოწერის გზით. რესპუბლიკის მთავრობა ლიტვის მოქალაქეებს გამოუყოფს სპეციალურ სახელმწიფო ასიგნებებს საქართველოს შესაძენად. აღნიშნული თანხა პრივატიზაციის დაქვემდებარებული საქართვეობის საერთო ღირებულების ორ მესამედს შეადგენს.

მთელი რესპუბლიკის მასშტაბით შექმნილია სპეციალური კომისიები და სამსახურები პრივატიზაციის პროცესის წარმართვის მიზნით.

ახალი კანონის მიზართ დაშოკდება უნდა არ განსაკუთრებულად არ გამოიყენებოდეს.

—ახალ კანონში აქცენტო გაკეთებულია კერძო საქართვეობაზე, — ასე თვლის ლიტვის თავისუფალ მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარე, ეკონომიკური მეცნიერებთა კანდიდატი ვ. კასატინი. პრივატიზაციის სუბიექტებს შორის შრომითი კოლექტივები სულ არ არის ნახსენები. საგანგებო უპირატესობა ენიჭება უცხოეთის კაპიტალს. კანონის მეცხრე სტატიაში კი ნათქვამია, რომ პრივატიზაციის ობიექტების შანთის მეშვეობით შეძენა არ შეიძლება. ახა როგორ უნდა მოხდეს საქართვეობის შესყიდვა? ნებისთ თუ უნებლიედ კანონი აშლიერებს ქონებრივ არათანასწორუფლებიანობას მკვადრ და არა მკვიდრ მოსახლეობას შორის. სახელმწიფო საქართვეობის შექენის უფლება ეძლევა მხოლოდ ლიტვის მოქალაქეებს. ამდგვარი უფლების მიღების საშუალება კი რესპუბლიკის ყველა მუდმივ მოსახლეს როდი აქვს.

ახლა ძნელია თქმა, თუ რამდენად შეუწყობს ხელს ეს კანონი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. მაგრამ უკვე დღეს ნათელია, რომ ის დააბავს ურთიერთდაპირისპირებას მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის, აგრეთვე ეროვნული ნიშნის მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საქარმოებში ითქმის ყველაზე დაწერგილია. შრომის იჯარული ფორმები (ბრიგადული, რგოლური, ოჯახური და ინდივიდუალური), მაგრამ უნდა ვალიართ, რომ ამ სფეროში ბევრია ისეთი საკითხი, რომელიც დასახვეწი და მოსაწესრავებელია, ამის გაუთვალისწინებლობას შეიძლება მოჰყვეს დაბრკოლებები.

იჯარული შრომის შედეგებზე პროგნოსის გაკეთება ძალიან ძნელია, რამეთუ იგი მიმდინარეობს კოლექტივების ინიციატივით და სურვილის მიხედვით. მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ურთიერთობის თანშერწყმა ყოველდღიურმა პრაქტიკამ უნდა დაგვანახოს.

უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველ სესიაზე გარკვევით ითქვა: საქართვეობის საზოგადოებრივი მეურნეობების თეორიულად დაშლის პროცესი, კოლმეურნეობა შესცვალეს სასოფლო კოოპერაციაში, საბჭოთა მეურნეობა — სახელმწიფო მეურნეობაში. სამინისტროს მიერ შემუშავებული

ლიტვური პარიანტი

საქართველოს განათლების სამინისტროს ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმის „სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობათა“ სპეციალობაზე სწავლისას ფრიდონ ბიჭიკოს ძე კოლუმბსკურსო ნაშუშევრად წარმოადგინა ჩიხის ნახევარუბრატიკების შ და ტრანსპორტირებისათვის მის მიერ ორიგინალურად შექმნილი ურიკის მოდელი. მოდელს თან ახლდა აღწერილობა, თუ რა ეკონომიკური მიზნებისთვის ხსიათდებოდა იგი. ნაშენები იყო, რომ ურიკა შეცვლიდა მის მუშაქმლს და წარმოებას მისცემდა ათასობით მანეთის ეკონომიას. ურიკის მოდელი წაღებულ იქნა ქუთაისის ტექნიკური თვითშემოქმედების საბაზო კლუბის ზუგდიდის ფილიალში. მიმდინარე წელს დაშაღდება რამდენიმე ცალი ზუგდიდის ჩიხის ფაბრიკებისათვის და უშუალოდ წარმოებაში გამოიყდება. თუ აჩვენა ნაყარაუდვი შედეგები, დაიწება მისი წარმოება სხვა რაიონების ჩიხის ფაბრიკებისთვისაც. წარმატება ვუსურვოთ სიახლის მიძიებულ სეციალისტს. გ. კვარაცხელია.

პრაქტიკა უნდა დაგვანახოს

ვებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ მეურნეობაში, სანიმუშო წესდების პროექტში ასახულია ბევრი საინტერესო სიახლე, სასურსათო პროგრამის გადაჭრის გზები.

ნეჩაიეობის გარდა სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლელში კულტურების მოყვანას, მეცხოველეობის განვითარებას და ადგილობრივი საყვები ბაზის შექმნას. სიახლის მოლოდინში, რომ უნდა დაჩქარდეს კანონების მიღება მოქალაქეობრიობის, მიწის, საკუთრების შესახებ, — ხელიდან არ უნდა გავუშვათ განაჯსულის, კერძოდ აბრილის თვის ხელსაყრელი ანიდები. დღევანდელ მხენელ-მთესველთა სიბეჭითე ღილადა დაშოკდებული სასურსათო პროგრამის ბედი, მიმდინარე წლის მოსავლის ბედი.

სოფლის მეურნეობის ყველა ღარგის თანბარდ განვითარებას დღეს თითქმის ვერაინ აღწევს, ასეა ყველაგან, ასეა ჩვენთანაც, მითუქმეტს საბაზრო

ეკონომიკაზე გადასვლის წინ. ახლა, როგორც არასდროს, საქართვეობის დაწერგვა, გლუხეცის დაინტერესება.

რაიონში ეტრ-ტრთი პირველი მოიჯარე ყორა ფიფია, წარმოინდა შრომის საბოლოო შედეგებოთ. დღეს მის გამოცდილებას იზარბეს შრომის ამ მეთოდით მოშუშვე 11 ბრიგადა, 8 რგოლს და 21 ოჯახური მოიჯარე.

150 ჰექტარ ჩიხის პლანტაციაში დამთავრებულა მიძიე და ნახყარბიშვე გასხვლა, ნახადა ვართ ვრუტის სეზონისათვის, სულ მალე დაიწყება 1480 ტონა ჩიხისაქვს ლაშქრობა.

დღევანდელ პერიოდში აუცილებელია მოიჯარისა და მეიჯარის დამოკიდებულების ურთიერთ შერწყმა შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოყენება, რამეთუ დამოუკიდებულ საქართველოს სტირდება ძლიერი ეკონომიკა.

მ. ლურჯაძია, ჩხოროის კოლმეურნეობის ლთავარი ეკონომისტი.

ლიტვური პარიანტი

საქართველოს განათლების სამინისტროს ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმის „სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობათა“ სპეციალობაზე სწავლისას ფრიდონ ბიჭიკოს ძე კოლუმბსკურსო ნაშუშევრად წარმოადგინა ჩიხის ნახევარუბრატიკების შ და ტრანსპორტირებისათვის მის მიერ ორიგინალურად შექმნილი ურიკის მოდელი. მოდელს თან ახლდა აღწერილობა, თუ რა ეკონომიკური მიზნებისთვის ხსიათდებოდა იგი. ნაშენები იყო, რომ ურიკა შეცვლიდა მის მუშაქმლს და წარმოებას მისცემდა ათასობით მანეთის ეკონომიას. ურიკის მოდელი წაღებულ იქნა ქუთაისის ტექნიკური თვითშემოქმედების საბაზო კლუბის ზუგდიდის ფილიალში. მიმდინარე წელს დაშაღდება რამდენიმე ცალი ზუგდიდის ჩიხის ფაბრიკებისათვის და უშუალოდ წარმოებაში გამოიყდება. თუ აჩვენა ნაყარაუდვი შედეგები, დაიწება მისი წარმოება სხვა რაიონების ჩიხის ფაბრიკებისთვისაც. წარმატება ვუსურვოთ სიახლის მიძიებულ სეციალისტს. გ. კვარაცხელია.

საქართველოს განათლების სამინისტროს ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმის „სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობათა“ სპეციალობაზე სწავლისას ფრიდონ ბიჭიკოს ძე კოლუმბსკურსო ნაშუშევრად წარმოადგინა ჩიხის ნახევარუბრატიკების შ და ტრანსპორტირებისათვის მის მიერ ორიგინალურად შექმნილი ურიკის მოდელი. მოდელს თან ახლდა აღწერილობა, თუ რა ეკონომიკური მიზნებისთვის ხსიათდებოდა იგი. ნაშენები იყო, რომ ურიკა შეცვლიდა მის მუშაქმლს და წარმოებას მისცემდა ათასობით მანეთის ეკონომიას. ურიკის მოდელი წაღებულ იქნა ქუთაისის ტექნიკური თვითშემოქმედების საბაზო კლუბის ზუგდიდის ფილიალში. მიმდინარე წელს დაშაღდება რამდენიმე ცალი ზუგდიდის ჩიხის ფაბრიკებისათვის და უშუალოდ წარმოებაში გამოიყდება. თუ აჩვენა ნაყარაუდვი შედეგები, დაიწება მისი წარმოება სხვა რაიონების ჩიხის ფაბრიკებისთვისაც. წარმატება ვუსურვოთ სიახლის მიძიებულ სეციალისტს. გ. კვარაცხელია.

ეროვნული აღზენისაკენ სწრაფვას — მაქსიმალური მხარდაჭერა!

ქალაქის პრეტქტის შეხვედრამ ქუჩის კომიტეტების თავმჯდომარეებთან არაერთი მტკივნეული პრობლემა წამოსწია წინა პლანზე. განსაკუთრებული ყურადღება კი დეპოე ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონში მოქალაქეთა ჩაწერის სიუსტის დაცვის საკითხებს. როგორც ზოგიერთმა გამოხატულმა აღნიშნა, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მუდმივად არიან ჩწერალი მოქალაქეები, რომელთაც ჩწერის ადგილზე არ სოდას უცხოვრიათ. გვინდა მოქალაქეებს გწემარტოთ, რომ თუ ისინი მუდმივად ჩწერის ადგილზე არ უცხოვრებენ, სათანადო საბუთების წარმოდგენას შემდეგ მთი ჩაწერები გაუქმდება. რაც შეეხება მომავალში ჩამოსულ მოქალაქეთა ჩაწერის საკითხს, იგი გადაწყდება ერთობლივად. ქუჩის კომიტეტებთან შეთანხმებით, არსებული დებულების მკაცრ მოთხოვნათა დაცვის საფუძველზე.

ბოლო პერიოდში საგრძობლად იმატა დაკარგული პასპორტების რაოდენობამ. შემოწმე-

ბამ ცხადყო, რომ ზოგიერთი პირები სინამდვილეში ფლობენ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებიდან გამომდინარე ისინი მეორედ იღებენ პასპორტებს. საპასპორტო ქვეგანყოფილების მიერ არაერთი ასეთი ფაქტი იქნა გამომდგაწეული, აღბთ უაქლოეს ხაში ჩიენი გავითის მკითხველებს ამ ვაიმოქალაქეების ვინაობასაც გავაცნობთ.

მოქალაქეთა ძალზე ბევრი განცხადება შემოგვდის საპასპორტო განყოფილებაში მის თაობაზე, რომ პასპორტში მათი ეროვნებას ჩაწერა მოხდა მათი სურვილის გაუთვალისწინებლად. მოქალაქეებს გვინდა შევახსენოთ დებულება საპასპორტო სისტემის შესახებ, რომელშიც მიითებულაა ერთგვება ჩაწერება მამის ან დედის ეროვნების მიხედვით (მშობლები თუ სხვადასხვა ეროვნების არიან), აღნიშნული დამოკიდებულება პასპორტების მიძიების სურვილზე, ეროვნების დაბრუნების

თაობაზე განცხადებები შესწავლისა და სათანადო დასკვნების მოშაღების შემდგომ წარედგინება საქართველოს მეცნიერებთა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. განცხადების ავტორთა გვარებთან დაკავშირებული ისტორიული მასალების შესწავლის, მათი წარმოშობისა და ეროვნული კუთვნილების მეცნიერული კვლევისათვის, ინსტიტუტის დასტურისა და შესაბამისი სამინისტროს 1989 წლის 19 მაისისა და 1990 წლის 28 თებერვლის დადგენილების საფუძველზე ხდება შესაბამისი ეროვნების აღდგენა. ჩვენ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ქართველების მიერ ეროვნების აღდგენისაკენ სწრაფვა უნდა იყოს მასობრივი. ამ დთვის მიერ სამართლიან გზაზე წინააღმდეგობას არავინ გაგვივთ, პირიქით ყოველი მხრიდან იქნება მაქსიმალური მხარდაჭერა. ზ. გომიძე,

შს ზუგდიდის საქალაქო და რაიონული განყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსი, მილიტიის კაპიტანი.

ს ს მ ვ ნ ა

ადრე ვაზიდნენ ჩვენგან

გუშინდელივით ასოვთ მეგობრებს თავაზიანი, თავისუფალი საქართველოსათვის მეოცნებე ახალგაზრდები გაა გულაია და ზაურ ბუბუტია. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დაოჯახდნენ ისინი, მაღალი პასუხისმგებლობით შეუდგნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ წერტილი დაუსვა ორივეს ღამაზ სიცოცხლეს. ახალგაზრდა

დედებს ნუგეშად ღარჩათ პატარები. შვილის დაღუპვით გულდაწყვეტილი, სახალხო განათლების მუშაყთარიგებს ჩამოშორდა გიან მამა ამირან იასონის ძე გულაია, ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ნორჩი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს შედღია. მეგობრების გულში მარად ღარჩება კეთილი აღამიანების ნათელი ხსოვნა.

კეთილი კვალი დატოვეს

ღარჩელის ჩიხის მეურნეობის მექანიზატორთა უმრავლესობა ბიჭიკო კოდუასა და ვალოდია ლემონჯარიას მიერ ვართ აღზრდილი. მუდამ თან გვდედა მათი ღარჩება ყოველგვარ სამუშაოზე. მათი ყოველი მოწაფე დიდადა ვართ დგადებული ამ ორი ამგდარი აღამიანისგან, რომლებიც უდრთოდ წვიდნენ ამ ქვეყნიდან.

მათი ხსოვნა უყვდავია, როგორც მოწაფეების, ასევე მთელი თანასოფლელებისათვის. ბიჭიკო კოდუას საქმეს ახლა მისი შვილები აგრძელებენ, რომელთაც განზრახული აქვთ სოფლის სამსახურისთვის აკონ მიკრო ჰიდრატულქტროსადგური. რამე კვარაცხელია, ავტოპარკის სახელმწიფო გამგე.

ფროიდი და მისი მოქმედება

ნათქვამია, რომ შიშობილი და სიყვარული განაგებენ ქვეყნიერებას. მარქსისთვის ყოფიერების საწყისი იყო შიშობილი (ეკონომიკა), ხოლო ფროიდისთვის — სიყვარული (სექსი).

თუ შიშობილი განაგებს ყოფიერებას, მაშინ ყოველთვის საწყისი უნდა იყოს ეკონომიკა. მარქსის მოძღვრება თავდაპირველად ასეთ იწოდებოდა — ეკონომიკური მატერიალიზმი. აღმოჩნდა ქვეყანა, რომელმაც ეს თეორია პრაქტიკაში გამოიყენა და შედეგი კატასტროფული აღმოჩნდა. ისეთი შიშობილი, როგორც ჩვენმა თანამემამულეებმა გადაიტანეს 1921, 1922-1923 და 1947 წლებში, ვერც კი წარმოუდგენიათ.

რომ დაეფარათ ეკონომიკური კრახი, გამოიგონეს რკინის ფარდა — სე მსჯელობს ფროიდის წინაპრების „მე და იგის“ — რუსული გამოცემის წინასიტყვაობის ავტორი.

სწორედ ეს რკინის ფარდა გვაშორებდა 70 წელიწადი ცივილიზებულ სამყაროს, იქ შექმნილ მეცნიერულ ღირებულებებს, რომელთა გარეშეც წარმო-

უდგენელია წინსვლა. ასეთივე რკინის ფარდით იყო ჩვენგან დაფარული ავსტრიელი ფსიქიატრის ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებაც, რომელიც 1921 წლის არასრული გამოცემის შემდეგ აქამდე არ გამოსულა ჩვენთან.

ამჟერად მოსკოვის გამომცემლობამ დასტავა მისი ბოლო წლების ნაშუქები „მე და იგი“, რომელიც მისი „ფსიქონალიზმი“ ერთ-ერთი საინტერესო ნაწილია.

ცხადია ფროიდის აკრძალვის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ეს მოძღვრება აკრძალავდა ვერც თავსდებოდა მარქსიზმ-ლენინიზმთან.

წინამდებარე წიგნი შეხანიშნავ სამსახურს გაუწევს როგორც ფსიქოლოგიითა და ფსიქიატრიით დაინტერესებულ, ასევე ფართო საზოგადოებრიობას.

ფსიქიკის დაყოფა ცნობიერად, არაცნობიერად და ქვეცნობიერად არის ძირითადი დასაყრდენი ფსიქონალიზმს. ეს საშუალებას იძლევა მეცნიერებასთან დაკავშირებით და ასე ავხსნათ ხშირ დაკვირვებას დაქვემდებარებული, სულიერი ცხოვრების

ძლიერ მნიშვნელოვანი პათოლოგიური პროცესები.

გინათხი და სიზმრებს ახსნით გახდა ფროიდისთვის შესაძლებელი ქვეცნობიერისა და არაცნობიერის გამოვლინება.

აღრული ბავშვობა, როგორც პიროვნების საფუძველი, დავიწყებული განცდები და წყენები, აუსრულებელი სურვილები, — ია რა განსაზღვრავს ფროიდის მიხედვით ადამიანის ფსიქიკას, ქცევებს. ფროიდი ადამიანის ქცევას სექსუალური ენერჯის სხვადასხვა გამოვლენით ხსნის. ხელოვნება სუბლიმირებული (გარდასახული) ლიბიდოა (სექსუალური ენერჯია).

ფროიდის მთელ მოძღვრებას როგორც მიმდევრები, ასევე მოწინააღმდეგეებიც გააჩნდა თავიდანვე. მისი ზოგი თეორია მეცნიერთა — კამათის საგანია, მაგრამ ფსიქონალიზმი ის ნაწარმოებია, რომელსაც გვერდი ვერ აუარა თანამედროვე ფსიქოლოგიამ, თანამედროვე აზროვნებამ. ჩვენში კი, მიუხედავად აკრძალვისა სწავლობდნენ მას და მიმდევრებიც გააჩნდა. იმედია, მალე ფროიდის ქართული გამოცემაც გახდება ხელმისაწვდომი ფართო მკითხველისათვის.

გუნდის მთავარი პრობლემა

„მარგეიტთან“ თანაშის წინ ზუგდიდლები იმყოფებოდნენ სატურნო ცხრილის სანეულში. ეს გარემოება და საკუთარ მოედანზე ასპარეზობა აიძულებდა ნათ ეფექტით მოგებაზე, მით უმეტეს, რომ შინ ისინი ადკილად აღწევდნენ მიზანს. ზესტაფონებთან თანაშის პირველი წუთები ძველი სცენარის მიხედვით მიდიოდა, ზუგდიდლებმა ხელთ იგდეს ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ სათამაშო უპირატესობა მასპინძლებისა განსაკუთრებით პირველ ტაიმში, არ შეიმჩნეოდა. სტუმრები ნაკლებად ფლობდნენ ბურთს, მაგრამ მათი ყოველი შეტევა იყო მოფიქრებული და ნწყვეტი. განსაკუთრებით მწყვეტი იყო მათ მიერ შესრულებული საჭარბო დარტყმები, რომლის უბაღლო ოსტატებად მოგვევლინნენ ფოცხვერავილი და კიკნაძე. ასე მძაფრი შეტევებით ჩაიარა პირველი ტაიმი, რომელშიც მასპინძლები აღმოჩნდნენ უფრო შედეგადანი: 1:0, მე-16 წუთზე შეტოვამ გაიტანა ულამაზესი გოლი თავის საყვარელ სტილში — ე. წ. „მაკრატელი“.

მეორე ტაიმიც ასევე მძაფრი შეტევებით აღინიშნა. სტუმრები არ ჩამორჩებოდნენ მასპინძლებს თანაშის ორგანიზაციაში, პირიქით, მათ შეძლეს მეტოქეთა გვერდითი მცველების ჯავაშვილის და კვიციანიანის ნეიტრალიზაცია, რის გამოც დაქვეითდა მათი ისედაც არც თუ ძლიერი ნათეობადაცვის ხაზი. ამ სიტუაციაში მასპინძელთა თავდასხმელები ვერ აღმოჩნდნენ

ნათეობის სიმალტე — ჩინური სახითოდ კი უტევენ განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოედანზე ტრავმის შემდეგ შემოვიდა გუნდის ლიდერი მ. ბიგვა, მაგრამ ეს ეპიზოდები ფეხბურთელთა უფრო ინდივიდუალური ოსტატობის შედეგი იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ყიზილაშვილი, რომელმაც მეორე ტაიმში პენალტიც კი „დაიმსახურა“, მალანიას დარტყმა ბრწყინვალე ნაბრძოლი მოიგერია დევიტენ (უსათუოდ თამაშის ერთ-ერთმა გმირმა) განმეორებით თევაძის დარტყმა უკვე ცარიელ კარში — კვლავ სცდებოდა მიზანს. ამიტომ არ ამოწყურულა ზუგდიდელთა „უიღბლო სერია“, 81-ე წუთზე დაცვაში უხეშ შეცდომის მოპყვა ნაწყების იძულებითი გოლი. საჭარბო დარტყმა 22-24 მეტრიდან ბრწყინვალედ შესრულა სტუმართა გუნდის თავმა ნოდარ კიკნაძემ 1:1.

ამ თამაშმა ერთხელ კიდევ ნათელყო ზუგდიდელ ფეხბურთელთა მთავარი პრობლემა — გუნდს არა ჰყავს შუა ხაზში მოთამაშე, სწრაფი და ტექნიკური, რომელსაც შეუძლია შეტევის სწორი მიმართულებით წყევანა. ამის გამო გუნდი სრულად ვერ იყენებს ისეთი ძლიერი მოთამაშეების სრულ პოტენციალს, როგორც არიან ბიგვა, ყიზილაშვილი, შერო...

...თამაში კი ზუგდიდში ფრტდ 1:1 დამთავრდა. მაყურებლებმა ტაშით გააციეს სტუმრები მოუდინდა...

რ. ბაბინსონი.

კრიმინალური ქრონიკა

შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან იტყობინებთან

მიმდინარე წლის 14 აპრილს ოთხ საათზე დაკავებულ იქნა 1959 წელს დაბადებული, ადრე ყაჩაღობისათვის ნასამართლელი, ეგრისის ქუჩა №28-ში მცხოვრები ბადრი ბაგრატიის ძე გვილია. იგი სხვა პირებთან ერთად გაქურდვის მიზნით შეიპარა ქირიას ქუჩა №22-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში. გვილიას თანხმობა პირებმა მოახერხეს მიმალვა. ტარდება ოპერატიული ღონისძიება გვილიას თანხმობის პირების დასაკავებლად.

დაკავებულ იქნა ადრე ნასამართლელი, 1965 წელს დაბადებული, კიროვის ქ. №100-ში მცხოვრები ზურაბ თამაზის ძე ნაროშვილი, რომელმაც გასულ და მიმდინარე წელს ჩაადინა არაერთი დანაშაული და ემალბოდა მართლმსაჯულებას.

მოქალაქისათვის მიუენებელი სხეულის მძიმე დაზიანების ფაქტზე დაკავებულ იქნა ადრე სიხლის სამართლის პასუხისმგებში ნამყოფი №2 ასკ-ის მუშა,

ქალაქ ზუგდიდის დავით აღმაშენებლის ქ. №16-ში მცხოვრები, 1950 წელს დაბადებული გურამ ვალერიანეს ძე ზარანდია.

დაკავებულ იქნა ადრე ოთხჯერ სხვადასხვა დანაშაულისათვის ნასამართლელი, წერეთლის ქუჩა №24-ში მცხოვრები, 1951 წელს დაბადებული გიორგი გიორგის ძე შვანია.

აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

გამოსათხოვარი

სულ რაღაც ორიოდ წლის წინ საყვარელი მეუღლე გააციოლა მარადიულ გზაზე. ასლა კი თვითონ გაუდგა ბატონი კორნელის გაკვალულ ბილიებს და საგზაოდ ის სათელსაკმეველი გაიყოლია, რომლის მადლსაც აქ ემსახურა.

მისი სიკვდილი მოულოდნელი არ ყოფილა. ჩვენ მას ველოდით. ველოდით, რადგან განუწყურებელი სენით იყო შეპყრობილი, ველოდით, რადგან ვხედავდით, რომ ყველაფერი უძლური იყო მისი უშემძმის ავადმყოფობის წინაშე. ძნელია დაიჭრო, რომ ის ადარ არის ჩვენს რიგებში. არ შემოაღებებს ჩვენი სკოლის კარებს, აღარ შეიხედავს თავის საკლასო ოთახში, სადაც წლების განმავლობაში დაუშარებლად, უშურველად ემსახურა თავის საყვარელ საქმეს. ძნელია შეეგუო

იმ აზრს, რომ არ არის ჩვენი დოლო, — ეს მალაქი, თავაწეული, ტანმშენიერი, მართალი და ამაყი ქალი, შესანიშნავი პედაგოგი და მოქალაქე, ერთგული მეუღლე და დედა.

დიდია მწუხარება თორღების ოჯახს რომ დაატება თავზე უღმობელმა სიკვდილმა, მაგრამ დოლოს შეწყვეტილი სიცოცხლე მის შვილებში განაგრძობს სუნთქვას და ესლა დარჩება ნუგეშად გულდათუთქულ დედას, ოჯახს, მის საყვარელ სკოლას.

...ძინე მშვიდად, მშვენიერო ქართველო ქალი.

მისამ სავსალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

რედაქტორი ა. პანტუხია.

ყურადღება, სიასლვა!

გაიხსნა ირიდოლიავნოსტიკის კაბინეტი

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ექიმ ნევროპათოლოგ ირიდოლიავნოსტიკის, რომელიც სპეციალური აპარატის საშუალებით აწარმოებს გამოკვლევას, რათა სიზუსტით დაისვას დიაგნოზი, აგრეთვე აღმოაჩინოს ორგანიზმში მოსალოდნელი სხვადასხვა დაავადებანი, (პათოლოგიების განვითარება) გენეტკური თავისებურებანი და გადატანილი დაავადებანი. მიღება ხდება ყოველდღე კვირის გარდა 15 საათიდან 19 საათამდე. მისამართი: ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. 117, (ყოფილი ოქტომბრის ქუჩა).

დიდა ოლა, მეუღლე ეთერი, შეიღებო კოსტა, ნატო, ძმა დუთა. დები: ქეთო, ნუნუ, სიძეები ბორის შარია, ელი და ქარდავა. რძლები: ზოია ხარებავა, ლეილა ჩიბონია, ძმისშვილები: გონა, პაპა, თათია, გიზო ქანთარია, დისშვილები: ელისო, ბადრი ქარდავა. ირაკლი ქანთარია, შვილიშვილები ანა, ალიკა შარია, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესაები იფუყებიან კოტე დომენტის ძე ქანთარიას გარდაცვალებას. პანაშვილი 27, 28, 29 აპრილს. დაკრძალვა 30 აპრილს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება მ. კოსტავას ქ. 69-დან.

მეუღლე ლენა, შვილი სოსო, ძმა ტარასი, შვილიშვილები: ნინო, ბახვა, რძალი დოდო, ძმის შვილები გულნარა, აპოლონი, კარლო, ყორა, ონერი, გული, სიძე იგორი გელენვა, ცოლისძე მარგო შალამბერი, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იფუყებიან ვანიჩა კოკოპას ძე თორიას გარდაცვალებას. პანაშვილი 25, 26, 27 აპრილს. დაკრძალვა 28 აპრილს სოფ. შამგონაში.

ქალაქ ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის 1975 წლის კურსის მთავრებულები იფუყებიან თანაკლასელის მამის კოტე დომენტის ძე ქანთარიას გარდაცვალებას.

ინგარის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი იფუყება დოდო მხიების ასულ თორღია ნაყოფიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შვილები: დალი, შაქრო, და ცოცო, რძალი ლამზირა ჯაბუა, შვილიშვილები: მატინა, ბადრი მელანიები, ლალი, ლაქრა, ბესიკი ფარულავები, დისშვილები: შერა, გული, ზაირა, ძმისშვილები: როზა, ლეილა, მიმოზა, სიძე რამაზ ტარიელაშვილი ოჯახებით იფუყებიან შურა (დოუ) პეტრეს ასულ ქიქია-ფარულავას გარდაცვალებას. პანაშვილი 25, 26 აპრილს. დაკრძალვა 27 აპრილს სოფ. ქითაწყარში.

ი. ნ. დ. ე. ს. ი. 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქცია: 2-47-00.

საქ. ბეჭდვასხეობის ზუგდიდის სტამბა: მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-22-07, ტირაჟი 8000, შუა. №1509